# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი

## ჟორჟიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—8)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—7)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 12 აგვისტოს დილით იყო 5 კაცი და 7 დედაკაცი. ამ დღეს არავინ მიუყვანიათ. მორჩა 1 კაცი—ფარსანაშვილი, გარდაიცვალა 1 დედაკაცი—ასტვაცატუროვისა. 13 აგვისტოს დილით იყო 4 კაცი და 6 დედაკაცი.

სოფლის საზოგადოებებში, რომელსაც წალკა ეწოდება ბორჩალოს მაზრაში, სენის გავრცელების პირველ დღიდგან 6 აგვისტომდე ავად გახდა 362, გარდაიცვალა 183, მორჩა 145. დარჩა 34.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება 12 აგვისტოს: სოფ. მარაბდაში კვლავ ავად გახდა 5, მორჩა 1, გარდ. 2; მალხაზოვკაში ავად გახდა 1; პატარძეულში ავად გახდა 3, გარდ. 1; საგარეჯოში ავად გახდა 1, გარდ. 1; ახალსოფელში ავად გახდა 1; ბერთუბანში ავად გახდა 1, გარდ. 1; კუმისში ავად გახდა 1; მანგლისში ავად გახდა 1, გარდ. 1.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება 9 და 10 აგვისტოს: ქ. ახალციხეში 7 აგვისტოს ავად გახდა 3, ყველანი 8-ს გარდაიცვალნენ და სხვა არავინ გამხდარა ავად. სოფ. ასპინძაში 1—9 აგვისტოს ავად გახდა 4, მორჩა 2, გარდ. 2, ავად არავინ არის; ლაშიხევში ავად გახდა 11, მორჩა 3, გარდ. 3, დარჩა 1; ქვემოოშარაში კვლავ ავად გახდა 50, მორჩა 30, გარდ. 18, დარჩა 2; ზემოოშარაში ავად გახდა 55, მორჩა 39, გარდ. 14, დარჩა 2; იდუმალაში ავად გახდა 10, მორჩა 4, გარდ. 5, დარჩა 1; მუსხში ავად გახდა 17, მორჩა 7, გარდ. 9, დარჩა 1; ჩოჩერთში ავად გახდა 1, გარდ. 1; ს. ინდუსაში ავად გახდა 3, გარდ. 1, დარჩა 2.

სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება: ზემო-მაჩხაანში 10 აგვისტოს იყო 15 ავადმყოფი და 3 გარდაცვლილი. მიზეზი ამდენის ავად გახდომისა ცუდი წყალი უნდა იყოს.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება 12 აგვისტოს: სოფ. ხოსპიაში 10 და 11 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1; კარხში ავად გახდა 1; გუმურდოში ავად გახდა 8, გარდ. 8, მორჩა 5; ხერთვისში ავად გახდა 2, მორჩა 6; შადირგანში მორჩა 1, გარდ. 1; კანდურში ავად გახდა 4, მორჩა 4, გარდ. 2; ვაჩიანში ავად გახდა 5, მორჩა 7, გარდ. 2; ჩანდურში ავად გახდა 10, მორჩა 5, გარდ. 1; ვარევანში ავად გახდა 2, გარდ. 1. თირკნაში ავად გახდა 1; კვლავ გაჩნდა სენი სოფ. ძალხოში და ავად გახდა 2, გარდ. 2; გომში ავად გახდა 3; ჯიგრაშენში ავად გახდა 3. სულ სოფლებში ავადმყოფია 60, ქალაქში 1.

გორის მაზრის უფროსი იუწყება 11 აგვისტოს: ქ. გორში ავად გახდა 9—11 აგვისტოს 3, გარდ. 2: სოფ. რუისში 8 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 1; სოფ. ურბნისში ავად გახდა 1; ბორჯომში ავად გახდა 1, გარდ. 1. 2-დგან 9 აგვისტომდე გარდაიცვალნენ: სოფ. სადგერში 2, ციმში 2, ახალ-დაბაში 3, ტბაში 3, ციხის-ჯვარში 1; 7-დგან სოფ. დირბში 9 აგვისტომდე ავად გახდა 6, გარდ. 4; პატარა მეჯვრისხევში ავად გახდა 1; სოფ. ახალქალაქში 5-დგან 9 აგვისტომდე ავად გახდა 8, გარდ. 10; ზემო—ხანდაკში ავად გახდა 14, გარდ. 8; სოფ. ჩოჩეთში ავად გახდა 1; დოესში ავად გახდა 2, გარდ. 2; იკნევში ავად გახდა 2, გარდ. 1; კოლუთში ავად გახდა 8, გარდ, 3; დიდმინდორში ავად გახდა 3.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, შაბათს, 15 ამა მარიამობისთვეს, არის დღესასწაული სიონის საკათედრო ტაძრისა, რომელიც აღშენებულია ღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზედ. როგორც წინა დღეს, აგრეთვე თვით დღესასწაულის დღესაც იქმნება გარდახდილი ღამის-თევითი ლოცვა და წირვა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალადის მიერ, რომლის თანამსახურადაც იქმნებიან: მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე, არხიმანდრიტნი და სხვანი წარჩინებულნი სამღვდელონი. წირვის შემდეგ სიონის ეკკლესიის გარშემო გაიმართება ლიტანია პარაკლისითურთ, რომლის დროსაც გამოასვენებენ სიონის ღვთის-მშობელს და წმ. ნინოს ჯვარს.

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლელად კიდევ მივიღეთ კნიაჟნა ელენე მიხეილის ასულის სუმბათაშვილისაგან შეკრებილი კოჯორში 178 მან. 80 კაპ. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც: კნ. სოფიო ლევანის ასულმა ერისთავმა 100 მან., კნ. ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქიშვილისამ 10 მან., კნ. ბარ. ნიკოლოზ. არგუთინსკი-დოლგორუკიმ 10 მან., კნ. მარია გურიელისამ 6 მან. 80 კაპ., კნ მ. ა. შ. 5 მან., კნ. გაიანე იოსების ასულმა შერვაშიძისამ 5 მან., გიორგი მიხეილის ძემ თამამშოვმა 5 მან., მაგდალინა პეტრეს ასულმა ოსეცკისამ 3 მან., № 2 მან., ა. ი. დ .1 მან., № № 2 მან., № № № 1 მან., დარია ზაქარიას ასულმა მირზოევისამ 15 მან., კნ. თარხანოვ-ხოჯამინასოვისამ 10 მან. და ნიკოლოოზ პეტრეს ძემ ბეკლემაშევმა 3 მან., სულ 178 მან. 80 კაპ, ამ ფულისა გვქონდა 579 მან. 35 კაპ., ამითი შესდგა 758 მან. 15 კაპ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 9 აგვისტოს ბაქოში ავად გახდა 1, მორჩა 1, ავად არის 8; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 12; ამ დღეს არავინ გარდაცვლილა; მთელს გუბერნიაში, ორ მაზრას გარდა, საიდგანაც ამბავი არ მოგვსვლია, ავად გახდა 70, გარდაიცვალა 54, მორჩა 11, ავად არის 27.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 9 აგვისტოს შურაში ავად არავინ გამხდარა, ავად არის 15; მთელს ოლქში ავად გახდა 340, გარდაიცვალა 129, მორჩა 268, ავად არის 1586.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 9 აგვისტოს განჯაში ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 314, ამათში 274 ზანგეზურის მაზრაში გახდა ავად, ოთხის დღის განმავლობაში კარგად გახდა 131, გარდაიცვალა 260, ამათში 198 ზანგაზურის მაზრაში; ავად არის 130.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 9 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 2, ავად არის 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 6, ავად არის 30.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 8 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 28, მორჩა 22, ავად არის 174; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 124, გარდაიცვალა 57, მორჩა 6, ავად არის 1110.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: მთელს ოლქში ავად გახდა 26, მორჩა 11, გარდაიცვალა 17, ავად არის 86.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავროპოლში ავად გახდა 2, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 856, გარდაიცვალა 278, მორჩა 207.

*** ორშაბათს, 17 აგვისტოს, დანიშნულია საგანგებო კრება ქალაქის საბჭოსი.

*** 13 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, ქალაქის მოურავმა დაათვალიერა სამხედრო სამკურნალო ნავთლუღისა. ინახულა როგორც ხოლერიანი, აგრეთვე სხვა ავადმყოფები. მადლობა გამოუცხადა უფროსს ექიმს ი. ი. მალინინს, რომ ამან ბინა აღმოუჩინა თავის სამკურნალოში ქალაქის მცხოვრებთაც, ვინც ხოლერით გახდა ავად. ამასთანავე გარდასცა ბ-ნს მალინინს ხუთი თუმანი საკუთარი ფული და სთხოვა, რომ გაუნაწილოს ფერშლებს, რომელნიც უვლიან ხოლერიან სამოქალაქო ავადმყოფებს. სამკურნალოდგან ამოიარა რიყეზედ და დაათვალიერა სახლები, სადაც-კი ხოლერით გახდა ვინმე ავად, და ყველგან ეზოებში დიდი უსუფთაობა იყო. მომრიგებელმა მოსამართლემ ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა წარუდგინა ქალაქის მოურავს ახლად დაყენებული „დვორნიკები“, რომელთაც მოურავმა სთხოვა, მუყაითად მოეკიდენით თქვენს მოვალეობას და სუფთად შეინახეთ ეზოები ამ ხოლერიანობასაო. შემდეგ დაათვალიერა რიყისა და ავჭალის ქუჩის მუქთი საჩაიოები, რომელნიც ძლიერ ჩინებულად არის მოწყობილი.

*** სასანიტარო მმართველნი და პოლიციის მსახურნი დაურიგებენ ჩაისა და შაქარს ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ.

*** გუშინ ჩვენ გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ შინდისის გზაზედ ერთი დარაჯი მოჰკლეს ავაზაკებმაო. ის ავაზაკები პოლიციას უცვნია და იმედი აქვს მალე შეიპყრას კიდეც.

*** თავრიზი: აქ საშინლად მატულობს ხოლერა, ასე რომ დღეში 300 კაცი ხდება ავად. ხოლერა მძვინვარებს აგრეთვე ადერბეიჯანშიაც. ხოლერის საბრძოლელად არც ექიმი სჩანს და არც სადეზინფექციო წამლები მოიპოვება.

*** გუმბრში 2 აგვისტოს თავი მოიკლა იქაურმა ნოტარიუსმა არმან მატკანიანმა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილებამ 12 აგვისტოს გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქის პეტრე ბოღდანის ძის ხოსროევისა, რომელსაც სასანიტარო წესების დარღვევა ჰბრალდებოდა. სააპელაციო განყოფილებამ პეტრე ხოსროევი დამნაშავადა სცნო და მიუსაჯა 50 მანათი ჯარიმა, ან სამის დღით ციხეში დაპატიმრება.

*** გორი: გორში დღითი-დღე ნელდება ავადმყოფობა—ხოლერა, მაგრამ სამაგიეროდ სოფლებს მოედო. ჩვენში თუმცა ნელდება, მაგრამ თავის მინებება არა გვმართებს, თორემ ისევ დაგვიბრუნდება, მთელს ზამთარს აქ დაიბუდებს და გაზაფხულზედ გაუსვამს ხელს. ამიტომ სანიტარებმა გულ-მოდგინედ უნდა იშრომონ სისუფთავისათვის. აქ უნდა ვსთქვათ, რომ, პირველ სასანიტარო განყოფილების გარდა, დანარჩენები ძალიან ჰუჭყიანად არის. მივაქცევთ მზრუნველების ყურადღებას ამ გარემოებას.

*** იქიდამვე: გარედ-უბანში კვირაცხოვლის ეკკლესიასთან გაიმართა უფასო საჩაიე ღარიბ ხალხისათვის. ეს საჩაიე გაიმართა სომხების ფულით: ტფილისიდგან სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ შემოსწირა გორს თხუთმეტი თუმანი, ერთი ამდენიც გორის სომეხთა საზოგადოებამ შესწირა და აი ამ ფულით გამართეს. ჩაის გარდა, პურსაც აძლევენ. მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ამ საქმისა.

*** იქიდამვე: აგერ ერთი თთვეა, რაც აქაურს მომრიგებელ-სასამართლოში თითქმის ყოველ დღე ირჩევა საქმეები სანიტარულის წესების დარღვევის გამო. ჩვენი მომრიგებელ-მოსამართლე ბ-ნი ლისოვსკი დიდის გულ-მოდგინებით ეკიდება ამ საქმეს. ხშირად თითონ მიდის სანიტარების ჩვე-

ნებით საექვო ადგილების სანახავად, ოქმს იქვე სწერს და იქავე ასამართლებს.

⁂ ფოთი: 11 აგვისტოს ფოთში ავად გახდა ხოლერით 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 9.

⁂ დოლიარი (ბაქოს ახლო სადგურია): 11 აგვისტოს, საღამოს 9 საათზედ, 43 ვერსზედ მატარებელმა № 3 ქვეშ მოიტანა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი, რომელსაც ლიანდაგზედ დასძინებოდა.

⁂ საჯავახო: სოფელ ნიგორზღვაში 10—11 აგვისტოს ავად გახდა ხოლერით 2, გარდაიცვალა 2.

⁂ შორაპანი (ყვირილას მაზრა): 12 აგვისტოს სოფელს მირზგვეთში მოჰკლეს საკუთარს სახლში რკინის გზის ჭიათურის შტოს მოიჯარადრე, იმისი ცოლი და ერთიც მუშათა მეთვალყურე. დამნაშავენი ჯერ არ აღმოუჩენიათ. ეჭვი მიიტანეს აქაურ მაჰმადიან მუშებზედ, რომლებიც მუშაობდნენ ჭიათურის შტოზედა და მკვლელობის მეორე დღესვე სადღაც დაკარგულიყვნენ. ავაზაკებს პოლიცია მხნედ დაეძებს.

⁂ ს. აბაშა: (ქუთაისის მაზრა): ხოლერის მოლოდინის შიშმა, არამც თუ მარტო ქალაქ-დაბები, არამედ ყველა სოფელი დიდ წუხილ-გოდებაში ჩააგდო. ყველა კუთხეში გულის ცახცახით მოელოდნენ და მოელიან ამ შეუბრალებელ-შეუწყნარებელს სენს. თითქმის ყველგან ემზადებოდნენ და ემზადებიან, რომ საკმაოდ შეიარაღებულნი დახვდნენ და ამით ცოტად მაინც ასცდნენ მის ბრჭყალებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სოფელი ისე გულ-გრილად შესცქერის ამ ამბავს, თითქოს აქ არაფერიაო!

როცა ხოლერამ ტფილისში თავი იჩინა, აბაშელებს აინუნშიაც არ მოსდიოდათ, თუ ეს „დაუპატიჟებელი სტუმარი“ კორტოხს აქეთ გამოიგნებდა გზას. ეხლა-კი, როდესაც ქუთაისსა და სამტრედიაში ხოლერამ თავი იჩინა, ჩვენის სოფლის გლეხები ხოლერის შესახებ ისე არაფერს არ ჰფიქრობენ, როგორც შარშან და შარშან-წინ. ჩვენი საზოგადოება ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად თითქმის სრულიად ნუგეშ-მოკლებულია: ჩვენს საზოგადოებაში აფთიაქი არ მოიპოვება, რომ შეეძლოს კაცს წამლის შოვნა, არც მკურნალია, რომ საჭიროების დროს შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებულს კაცს და, სანთლით რომ ეძიოთ, ერთს ფერშალსაც ვერ იპოვით. საავადმყოფოს ხსენებაც ხომ სრულიად არ არის და არა. დარიგება ხოლერის წინააღმდეგ თითქმის ყველა საზოგადოებას ერგო, მხოლოდ ჩვენმა საზოგადოებამ არც-კი იცის, თუ რაიმე დარიგება მოიპოვება საქართველოში. სადეზინფექციო წამლებმა ხომ სულ თქვენი ჭირი წაიღო! აბაშის საზოგადოება, რომ იტყვიან, სწორედ ღვთის ანაბარად არის დატოვებული.

⁂ სოფ. ბრეთი (გორის მაზრა): ბრეთი მეტად ჩაჯღუნთული და უხეირო სოფელია მდებარეობით. ამიტომ აქ ხოლერამ ადვილად გაიდგა ფეხი და შეუბრალებლადა ჰჟლეტავს ხალხს. სოფელში დიდი ალიაქოთია. გლეხ-კაცნი ერთმანეთს არ ეკარებიან და სხვა სოფლებისაკენ მიიწევენ, მაგრამ მომეტებული ნაწილი სოფლისა შეკრულია და არავის უშვებენ. საკვირველია, რომ ჩვენმა თავადიშვილობამ (მე აქ მხედველობაში მყავს არა მარტო ჩვენის სოფლის თავადები) ასეთი დაუდევრობა გამოიჩინეს ამ უბედურების დროს. იმის მაგიერად, რომ ფერშალი მოიწვიონ, ან რამე საშუალება იხმარონ ხოლერასთან საბრძოლველად, ისინი ტყეში მიდიან დასამალავად. ამის მნახველმა გლეხ-კაცმა რაღა უნდა ჰქნას? ისიც, რასაკვირველია, ბატონის მიბაძვით, ოხრადა სტოვებს წლის სარჩოს და მიდის ბატონის კვალზედ ტყესა და მთაში.

ყველაზედ უფრო მომეტებული ხალხი სარკესკენ მიემგზავრება. სარკე ის ძველებური წმიდა გიორგის ეკკლესიაა, რომელსაც უჭირავს ერთი მშვენიერი ადგილთაგანი საციციანოს ტყეში. საყდარს გარს ახვევია მრავალი ხის ოთახი, სადაც სახლდებიან ჩვენი გაქცეული ბატონები. მთებიდგან ცივი წყაროები გადმოჩუხჩუხებს; პურს ხომ ნუ იტყვით, ისეთი კარგია. ყველა მიხვდება, რომ იქაური ბუნება ადვილად ვერ შეუწყობს ხელს ხოლერას. ამიტომ ეხლა ეს ადგილი ერთს პატარა სოფელს წარმოადგენს. ასე გასინჯეთ, მამლებიც-კი არიან იმ ტყეში და საქონელს ხომ რაღა თქმა უნდა. ეს უნდა ვსთქვათ, რომ ამ გაქცეულებისაგან მთის ხალხსაც უბედურება ეწვევათ ხოლმე, რადგან იქაც მიაქვთ ეს გადამდები სენი.. მაგ., ამ წინაზედ ერთი-ორი მოკვდა იმ მთასთან ხოლერით, საწყალს არავინ არ მიეკარა დასამარხავადაც-კი, ვიდრე ერთის დღის შემდეგ ქარელიდამ არ გაგზავნეს გზირი, რომელმაც მიაბარა შავს მიწას საბრალოს გვამი.

⁂ გაზეთ Каспій-ს სიტყვით, ბაქოში გარდ. ჩ დასაფლავდა საერთო სასაფლაოზედ ივნისის თთვეში 535 კაცი, ამათში: 336 მართლ-მადიდებელია, 43 ფრანგი და ლოტრანგი, 61 სომეხი, 22 მალაკანი და 73 მაჰმადიანი. იმავე სასაფლაოზედ არის დასაფლავებული იმავე თთვეს ხოლერით გარდაცვლილი კაცი 735. ამათში 165 მართლ-მადიდებელია; 91 ფრანგი და ლოტრანგი, 71 სომეხი, 21 მალაკანი და 457 მაჰმადიანი.

⁂ გაზეთ „Новости“-ში ვკითხულობთ: მთელი ორი კვირა პეტერბურგში გამუდმებული წვიმა მოდიოდა და საკმაოდაც გრილოდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ხოლერა არ განელებულა.

⁂ „Правит. Вѣстн“. ცნობით ქ. ახხაბადში 20—21 ივლისს ხოლერით ავად გამხდარა სულ 7 კაცი, გარდაცვლილა 4 და შემდეგ ყოველ დღე უმატნია სენს. 23 ივლისს ავად გამხდარა 372, გარდაცვლილა 110. 24 ივლისიდგან ხოლერა თანდათან ნელდებოდა თურმე ჩ 27 ივლისს ავად გამხდარა სულ 90 კაცი, გარდაცვლილა 85.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება

11 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, მოხდა საგანგებო კრება სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა, რომელსაც უნდა განეხილა მოქმედება ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შესახებ 12,000 მანეთისა, რომელიც გაიღო ბანკმა ტფილისის გუბერნიის სოფელთა საშველად ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თავმჯდომარედ კრებისა ამორჩეულ იქმნა მარშალი გუბერნიის თავად-აზნაურობისა, თავ. ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი. უგანათლებულესმა თავადმა პეტრე ალექსანდრეს ძემ გრუზინსკიმ აუხსნა კრებას მიზეზი, თუ რად და როგორ იცნო ბანკმა საჭიროდ, რომ დაჰხმარებოდა სოფელს ამ საშინელ გაჭირვების დროს, რა ღონისძიებანი არის ხმარებული, რომ ხოლერას შეძლებისამებრ შეაკვეცონ ფრთები და ამ სენმა ისეთი მძვინვარება ვერ გამოიჩინოს, როგორიც გამოიჩინა ყველგან, სადაც-კი ხალხი უპატრონოდ იყო დატოვებული.

თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, საჭიროდ მიაჩნია მას დახმარება, რომლითაც მიეშველა ბანკი სოფელს, და ამტკიცებს 12.000 მანეთის ხარჯსა, თუ არაო.

თავ. ამილახვარი. მაგ საგნის გადაწყვეტა ეხლანდელს კრებას არ შეუძლიან. ეგ ისეთი მძიმე საქმეა, რომლის განხილვაში ყოველს წევრს ბანკისას უნდა ჰქონდეს ხმა. ამიტომ, ჩემის აზრით, განაჩენი ამის შესახებ უნდა დაადგინოს მერმისის მორიგ კრებამ, როდესაც მრავალი ხალხი იქნება შეკრებილი.

ა. ი. კობიაშვილი. სრულად ვეთანხმები თავ. ამილახვარს, მით უმეტეს, რომ აქ ასაჩქარებელი არა არისრა. ბანკმა ძრიელ კარგი საქმე იკისრა. დახარჯოს საჭიროებისამებრ ფული და მერმისის კრებას წარმოუდგინოს ანგარიში.

თავ. ავალიშვილი. თუ-კი კრებას მოსწონს ჩვენ მიერ დაწყებული საქმე, მაშ ეხლავ შეგვატყობინოს თავისი აზრი, თორემ მერმისის კრებამ რომ აღარ გვიყაბულოს, მაშინ ჩვენ ცუდს ყოფაში ჩავცვივით. საქმე იმაშია, რომ ჩვენ თავს ვიდეთ ეგ ხარჯი და ვთქვით—უკეთუ კრებას არ მოეწონა ჩვენი მოქმედება, ჩვენის ჯიბიდგან შევუსრულოთ ბანკს ის ფული, რომელიც დაგვეხარჯება ბრძოლაზედ. დღეს ოთხას თუმნამდეა მხოლოდ დახარჯული. თუ დაგვიწუნებთ განკარგულებას, ჩვენ დღესვე მოვსპობთ ბრძოლას და ჩვენის ფულით შევავსებთ იმას, რაც დაგვიხარჯავს. წარმოიდგინეთ, რომ გადავდეთ კრების განაჩენი მერმისისთვის, დავხარჯეთ სრულად 12.000 მანეთი და მერმის გვეუბნებით, რომ ყაბული არ ვართ მაგ გაწეულ ხარჯისაო. მაშინ ერთი-სამად ძნელი იქნება ჩვენთვის ფულის შევსება, ვიდრე დღეს. ამიტომაც მოვიწვიეთ საგანგებო კრება, რომელმაც უეჭველად დღესვე უნდა დაადგინოს განაჩენი ამ საქმის შესახებ.

ხანგრძლივის ბაასის შემდეგ კრებამ გარდაწყვიტა, რომ 12.000 მანეთი ბანკის ფული მოჰხმარდეს ხოლერასთან ბრძოლასაო.

მეორე საგანი კრებისა იყო წინადადება თავმჯდომარისა იმის შესახებ, რომ უგანათლებულეს თავ. პ. ა. გრუზინსკისთვის საძნელოა აუვიდეს იმდენს შრომას, რომელიც საჭიროა ამ ბრძოლის გასაძღოლად მთელს გუბერნიაში. ამისთვის კრებამ უეჭველად უნდა გადასწყვიტოს, რომ დანიშნული ფული გაჰყოს ექვს ნაწილად და დაურიგდეს მაზრის თავად-აზნაურთა მარშლებს, რომელთაც უფრო უკეთ იციან საჭიროება თავ-თავიანთ სამწყსო სოფლებისა და დროზედაც დაეხმარებიან გაჭირვებულთა.

თ. დ. ა. გურამიშვილი, ფულის განაწილება საჭირო არ არის. უგანათლებულესს თავადს პ. ა. გრუზინსკის, რომელიც დანიშნულ იქმნა გამგებლად სახოლერო ბრძოლისა გუბერნიაში, ისე ჩინებულად მიჰყავს საქმე და ისეთს სასიამოვნო მაგალითებს ვხედავთ ხოლერის შესუსტებისას, რომ დიდი წინდაუხედაობა იქმნება ჩვენი—უსაბუთოდ შევცვალოთ მიღებული წესი და მაზრის მარშლების დახმარებით ვცადოთ ახლა სხვა წესი, რომლისაც ჯერ არა ვიცით-რა ნამდვილი.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მართალსა ჰბრძანებს თავ. გურამიშვილი: წესის შეცვლა ამ შემთხვევაში ყოვლად შეუწყნარებელია. რაიცა შეეხება მაზრის მარშლებს, იმათ შეუძლიანთ დიდი სიკეთე გაუწიონ ქვეყანას, თუ კი თავს იდებენ და მოუვლიან გაჭირვებულ სოფლებს. მივიდნენ, გაამხნეონ ხალხი, შეჰკრიბონ შემოწირულებანი და გაასუფთაონ სოფლები, როგორცა ჰმოქმედებენ სიღნაღის, ბორჩალოს და თელავის მარშლები. საუბედუროდ, გორის მაზრის მარშლისა არა ისმის-რა საქებური ამ მხრივ. აი, ჩვენა ვსთხოვოთ, რომ ყველანი შესაფერად გაისარჯნენ. თვით პაწაწა სოფლები ახერხებენ ორმოც სამოცის თუმნის გამოღებას, რომ შეებრძოლონ ხოლერას. ნუ თუ მარშლები ამისთანა საქმეს ვერ გააბედვინებენ ყველა სხვა სოფლებს, რომელთაც ესმით, რა დიდი უბედურებაა მათთვის ხოლერა?!

კრებამ არ შეიწყნარა სარჩიელი ფულის განაწილების შესახებ და საქმის მთელი წარმოება დასტოვა უგანათლებულესის თავადის პ. ა. გრუზინსკის მზრუნველობის ქვეშე.

(დასასრული ხვალ)

---

## დაბა ჩ სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

სოფ. ზენეთი (ბათუმის ოლქი), 28 ივლისს. კინტრიშისა და ჩაქვის ხეობის სოფლები სავსეა ქართველ მოლებით; ისე სოფელს ვერ ნახავთ ამ მხარეს, რომ იქ, ორი თუ არა, ერთი ქართველი მოლა მაინც არა სცხოვრობდეს. ზენეთსა და ძველქობულეთში შვიდი სასულიერო კაცი სცხოვრობს. ეს ორი სოფელი ერთ საზოგადოებას შეადგენს და ერთი ჯამე აქვს. ამ სასულიერო კაცთა შორის ორი ხოჯა არის, ჰანები, და ხუთი მოლა; მოლები ქართველები არიან. ოთხმა მოლამ ქართული წერა-კითხვაც იცის, მხოლოდ ერთმა არ იცის. ესეც დაისწავლის მალე, რადგანაც ახლა ამათში ქართული წიგნები მოიპოვება. ეს მოლები ქართულადაც სწერენ, მხოლოდ მეტად გაურკვეველის ხელით, ასეთ წერას ისინი „ჩვენებურს“ ეძახიან, ე. ი. მათებურს. ამ მოლებს ძალიან მოსწონთ ჩვენებურის მძიმე ენით დაწერილი წიგნები. ამბობენ, ძველი ქართული სჯობია ახალს, რადგანაც ძველი უფრო დამუშავებულიაო. ჩვენებურს ქართულს „ხოშორ“ ქართულს უწოდებენ, ე. ი. უფრო კარგს.

ეს მოლები და ზოგი ქართველი ხოჯები გაჭირებულს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, მოლობაში დავაკაცებულან და ასრულებენ იმ მოვალეობას, რაც იმათ ხნის კაცს აღარ შეჰფერის. თითო-ოროლანი არიან ისეთი ქართველი ხოჯებიც, რომელთაც შესამჩნევი ადგილები უკავიათ. უმეტესი ნაწილი-კი სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ესენი ოსმალოეთიდგან მოსულ ხოჯებსა და მოლებს არაფრით ჩამოუვარდებიან, არც „ყურანის“ კითხვით, არც ლოცვით, არც გალობითა და არც სხვაფრივ, ხალხისთვისაც სასარგებლონი არიან, რადგანაც ესენი აქაურს ყოველ მოსახლეს იცნობენ, იციან იმათი შინაური ცხოვრება, შეძლება, ოჯახის წევრთა რიცხვი, ამათი ხასიათი, ზნე, ჩვეულება. ჭირშიაც თავიანთ თანამემამულე ქართველ მაჰმადიანებთან არიან და ლხინშიაც, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხს-კი ამათი არავითარი პატივისცემა არა აქვს. ესენი აქა-იქ ცუდად იმყოფებიან და სიმინდში მუშაობენ, ამითი სცხოვრობენ და ამათი თანამდებობა-კი ოსმალეთიდგან მოსულ ხოჯებსა და მოლებს უკავიათ!

ესენი ამბობენ, რომ ჩვენის ხალხის აყრისა და გადასახლების მიზეზი სულ ოსმალეთიდგან მოსული ხოჯები არიან, ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ წამოდით, თორემ რუსები გაგაქრისტიანებენ, ოჯახს წაგიხდენენო, მათ არც წესი აქვთ და არც კანონიო. მოვიდნენ რუსები, მაგრამ ჩვენში არც არავინ მოაქრისტიანეს და წესიც კაი ჰქონებიათ და კანონიც. დღეს ჩვენი ძმები ოსმალეთიდგან შურით უყურებენ ჩვენს მშვიდობიანს ცხოვრებას და აქ გადმოსვლაც ენატრებათ, მაგრამ იმათ ამის ნებას აღარავინ აძლევს.

ეს ხოჯები არც დღეს ისვენებენ და უმეტესს ნაწილს თავიანთ ქადაგებაში ხალხს სულ აქედგან აყრასა და გადასახლებას ეჩიჩინებიან. ჭანელ, ლაზელ და ოსმალეთიდგან მოსულ ხოჯებს რუსის მთავრობის სიძულილის მეტი სხვა არაფერი აქვთ გულში. ხალხს ეუბნებიან: აბა ეცადეთ, რომ თუ ვინიცობაა ომი მოხდა, ეს გიაურები გასწყვიტოთ და გარეკოთ აქედგანაო, რადგანაც იმათის აქ დარჩენით თქვენ სამუდამოდ წაწყდებით და სამოთხეში ვერ შეხვალთო. ოსმალეთს რუსთან ომი ოც-და-ხუთის წლის შემდეგ მოუხდებაო. ამ ოც-და-ხუთ წელიწადს უკანასკნელის ომის შემდეგ სთვლიან, ასე რომ, ამათის ფიქრით, ამ ათის წლის შემდეგ მოუხდება ოსმალეთს რუსეთთან ომი და ესენი რუსებს ისე მოერევიან, რომ ტფილისში თავიანთ ფაშას დასმენ!

მთავრობამ რომ ამათ მაგიერ ადგილობრივი სასულიერო კაცები დანიშნოს, მაშინ-კი ყოველსავე ამას ბოლო მოეღება. ადგილობრივვე მოამზადებენ თავიანთთვის მოადგილეებს და მაშინ ამათთვის აღარც სტამბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის „რუშტია“ იქნება საჭირო და არც ტრაპიზონისა.

აჭარისა და ბათუმის მუფთებს რომ მოენდომებინათო, მითხრეს ქართველმა მოლებმა: მაშინ ვერც ერთი იმათგანი აქ ვერ შემოვიდოდაო და ჩვენ წაგვწევდნენ წინაო, მაგრამ ამ მუფთებს ჩვენი კაცი სძულთ, ნამეტნავად ქართველობა, თუმცა თითონაც ქართველები არიანო. ისინი კაი ჯამაგირებს იღებენ და ჩვენთან რა საქმე აქვთო. იმათის ფიქრით, აქეთ ოსმალოს ხოჯები და მოლები იმიტომ უფრო არიან საჭირონი, რომ აქ ხალხი ჯერაც ისევ ქართულს ენაზედ ლაპარაკობს და უნდათ ოსმალური ენა განავრცელონ, ქართული ამოაგდონო, ქართველების შესახებ ქართველთ მაჰმადიანთ გულში სიძულილი დათესონ და ამასთანავე თათრული წეს-ჩვეულება განამტკიცონ.

ისინი ქართველ მოლებს და ხოჯებს იმ წუნსა სდებენ, რომ თათრული წერა-კითხვა და ლაპარაკი კარგად არ იციან და, გარდა ამისა, ყველგან ქართულად ლაპარაკობენო. ქართველი ხოჯები და მოლები რომ იყვნენ აქა, მაშინ აქ ქართული ენა და წიგნი, ამოვარდნის მაგიერ, გავრცელებას მიეცემაო.

ამ ათის წლის წინად ქართველ მოლებსა და ხოჯებს თავიანთის მდგომარეობისთვის ყურადღება მიუქცევიათ და თხოვნა მიურთმევიათ მთავრობისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ სასულიერო კაცებად დაყენებული და არა ოსმალეთიდგან მოსულიო. მთავრობას ამათი თხოვნა კანონიერად დაუნახვს და ადგილობრივ გამგეობისთვის ბრძანებაც მოუწერიათ განკარგულების მოსახდენად და საქმესაც შესდგომიან, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ საქმე ისევ ისე გაჩერებულა და ოსმალეთიდგან მოსულნი აქვე დარჩენილან. ამ დღეებში მე ვნახე რამდენიმე ქართველი მოლა და დიდად სამწუხარო ცნობები გადმომცეს თავიანთ მდგომარეობის შესახებ. ბოლოს სთქვა ერთმა: ეხლა გვინდა საჩივარი მივცეთ, სადაც ჯერ არს, და ვითხოვოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ დანიშნული და ეს უცხონიც სამუდამოდ განდევნონ საქართველოდგანაო. საჭიროა, რომ ჩვენს უმაღლესს სასულიერო კაცებსაც დარიგება მიეცეს და, სტამბოლის მაგიერ, აქ, ბათუმში, დაფუძნდეს ჩვენი სასწავლებელიო. ეს ამბავი ბევრს შეგნებულს მაჰმადიანს გავაგებინე და ძალიან ესიამოვნათ. ერთმა ქართველმა მაჰმადიანმა, რომელიც სტამბოლში გაზრდილა და მცოდნეა ოსმალურის ენის და წერა-კითხვისა, რომელსაც ძალიან ენატრება ამ საქმის განხორციელება, ამბობს და სხვებსაც ეუბნება: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო ენა ქართული ენაა, ეს მხარე საქართველოს ეკუთვნოდა, იგი საქართველო იყო, დღეს ღვთის განგებით ეს მხარე ისევ საქართველოს შეუერთდა და დღეის შემდეგ აღარც ჩვენ შეგვფერის ყვირილი, რომ თათრები ვართო. რის თათრები ვართ, გვარი არა გვაქვს თათრისა, ენა, ზნე და ჩვეულებაო. ჩვენში რომ ორი ან სამი ქართული სკოლა გაიმართოს, მაშინ ამ სკოლების საშუალებით ჩვენი შვილები უფრო მტკიცედ დაუბრუნდებიან თავიანთ მშობელს ქვეყანას. ჩვენა ვართ ბერძნები, თორემ ოსმალეთში ბერძნებიც არიან, რომელნიც მაჰმადის სჯულს ეკუთვნიან, მაგრამ არავის ეტყვიან, რომ ბერძნები არა ვართო. იმათი დედაენა ბერძნულია და თითონაც ბერძნებად აღიარებენ თავიანთ თავსაო.

ზ. ქ.

## ხმა პროვინციიდგან

ეს მესამე წელიწადია, რაც ჩვენს მხარეს ზაფხულობით ათასი ჭირი და ვაება არ გამოჰლევია! წარშან-წინ საშინელმა სეტყვამ და ნიაღვრებმა ულმერთოდ დაგვაბანინა ხელი მთელის წლის მოსავლიდგან; შარშან, მოგეხსენებათ, რა გაჭირვებაც ადგა მთლად გორის მაზრას და მასთან ჩვენს მხარესაც! უთაოსნო ადმინისტრაციის წყალობით გათამამებული ყაჩაღები თავისუფლად დათარეშობდნენ ჩვენის სოფლების გარეშემო და თავიანთის უბედურის ქცევით შიშის ზარსა სცემდნენ დიდსა და პატარას! მაგრამ წრევანდელმა ზაფხულმა ყოველივე ეს სამუდამოდ დაგვავიწყა და მხოლოდ მისმა საზარელმა თანამგზავრმა დაიხვია ხელზედ მთელი ჩვენი ფიქრი და მზრუნველობა. ვიღას ახსოვს ეხლა წარსული მწუხარება და ვაება?! აწინდელმა ვარამმა ძირიან-ფესვიანად ალგავა ყოველივე ის ჩვენის მეხსიერებიდგან. საშინელი სენი ნელ-ნელა უახლოვდება ჩვენს მხარეს და, თუ ეხლანდელი გვალვა-პაპანაქება და გამოფშიტული ცხელი ქვენა ქარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ეჭვი არ უნდა, ჩვენც გვეწვევა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ძველებურის უსუფთაობისა და დაუდევრობის ფართო გზა-ტკეცილი აღარ დახვდება: ხალხმა თვალი გაახილა და ვაჟკაცურად დამკლავებული ელის მის მოთრევას!..

—

ჩვენს მხარეს კარგა მაღლობი, გრილი ადგილი უჭირავს. აქეთ-იქიდგან მოსდგომია მაღალი ტყიან-ჭალიანი მთები; ჩრდილოეთიდგან თავს დასცქერის მარად თოვლით შემოსილი კავკასიის ქედი, ხოლო სამხრეთით თვალ-გაუწვდენელ სივრცეზედ გადასჭიმია დიდი ტრიალი მინდორი, რომლის შავსა და ღონიერს ნიადაგს უხვადა რწყავს ლურჯად მოკამკამე ლიახვის მრავალი პატარ-პატარა ტოტები. ამისთანა დალოცვილს, ბუნებით შემკულს ალაგას რად და როგორ უნდა მოიკიდოს ფეხი დამპალ-აყროლებულ ჭაობების ნაშობმა და სამხრეთის პაპანაქების აღზრდილმა ბოროტებამ? სამწუხაროდ, ძველის დროების ამბები, რომელთაც-კი მოუხწევიათ ჩვენ დრომდის, ცხადად გვიჩვენებს, რომ ხოლერას ვერც ეს მხარე გადარჩენია. ბუნების კეთილი მოქმედება ადვილად გაუქარწყლებია, რადგან ყოველს აქაურს სოფელში ბლომად დახვედრია მძლავრი მოკავშირე, რომელსაც შიგნიდგან გაუტეხია ციხე და შემდეგ ფიანდაზად გადაჰშლია წინ მის შავსა და ბნელს ძლევა-შემოსილს მსვლელობას. ეს მოკავშირე ყოფილა ჩვენი საკუთარი უგუნურება! ამის მეოხებით საშინელი სენი ღვთისაგან მოვლენილ აუცილებელ სასჯელად მიუღიათ!.. მაშ ვინ-ღა გაუბედავდა მას შებრძოლებას? ვინ-ღა მოიფიქრებდა, რომ გასუფთავება სოფლისა და სახლებისა, ზომიერი ცხოვრება, ექიმი და მისგან ნასწავლი საშუალებანი რაიმე სარგებლობას მოუტანდნენ ხალხს? არავინ არა ჰფიქრობდა ამას და აკი ამიტომაც ისხდნენ გულ-ხელ-დაკრეფილნი და იძახოდნენ: „ღვთის ძლიერებას ვინ დაუდგება წინ? ვენაცვალე მის განგებასაო!..“ იძახოდნენ და შეუწყალებლად იმუსრებოდნენ თავგასულისა და გათამამებულის მტარვალისაგან. ღვთის მადლით, დღეს ამას აღარა ვხედავთ!..

—

დიდ ხოლერობის შემდეგ გავლილი დრო ჩვენს ხალხს ტყუილ-უბრალოდ არ დაუკარგავს. ამ დროს განმავლობაში მას კარგად შეუგნია, ვინცა და რა შვილიც ბრძანებულა ხოლერა; ამასთანავე მიხვედრილა, რომ მასთან ბრძოლა შესაძლებელიც არის და მეტის-მეტად საჭიროც. დაუნახავს აგრეთვე ის საშუალებაც, რომელიც უფრო მარჯვე იარაღად ითვლება საზარელ სენთან შეტაკების დროს... დაუნახავს და აი ორივ ხელი მაგრად წაუვლია მისთვის... ხალხი თავ-გამოდებით სუფთავდება! იქ, სადაც ქვეყნის დაარსებიდგან ნაგავი, პატივი და აყროლებული წუნწუხები არ გამოლეულა, დღეს დაგვილ-დაკრიალებულ მშრალს ადგილსა ვხედავთ!.. ყველგანა ჰყავთ ამორჩეული კაცები, რომელნიც პატიოსნურად ასრულებენ თავიანთ დიდ-მნიშვნელობიან მოვალეობასა: ასუფთავებენ სოფელსა, შედიან სახლებსა და ეზოებში, ბოსლებსა და საბძლებში და სადაცკი რაიმე უსუფთაობას ჰხედავენ, ფიცხლავ ასპობინებენ. ვაი იმ უგუნურს, რომელიც გაჰბედავს ამ ამორჩეულ კაცების წინააღმდეგობას!.. ადგილობრივი ადმინისტრაცია ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ყოველს ამ გვარს მოვლენას, დამნაშავეს იბარებს თავისთან და შესაფერს საჩუქარს აძლევს იმის მავნებელ ჯიუტობას. საზოგადოდ, როგორც პოლიციის წარმომადგენელი, ისე ჩვენი ახალგაზდა ექიმი ღირსნი ბრძანდებიან გულითადის პატივისცემისა იმ განუწყვეტელ მხნეობისა და კაცთმოყვარეობისათვის, რომელსაც ესენი იჩენენ ამ ვაისა და ვაგლახის დროს!..

—

თავიანთის სწავლითა და გამოცდილებით არა მცირე სამსახურს უწევენ ჩვენს ხალხს ის განათლებული ქართველებიც, რომელნიც ამ ჟამად სოფლადა სცხოვრობენ. ამათ ლაპარაკსა და რჩევა-დარიგებას გლეხ-კაცი ძველებურად როდი-ღა არიდებს ყურს. სჩანს, ნელ-ნელა ჰქრება ის მავნებელი შეცდომა, რომლის გამო ნაბატონრებსა და განათლებულს ხალხს შორის გლეხი ვერავითარს განსხვავებას ვერა ჰპოულობდა და ორივეს ერთ ნაირის ეჭვის თვალით შესცქეროდა. ამიტომაც ასეთს დიდს განსხვავებას შენიშნავთ იმ ორ სოფელ შუა, რომლებშიაც—ერთგან სცხოვრობს ნასწავლი ადამიანი, მეორეს-კი ამისთანა კაცი არ მოიპოვება. პირველში თქვენი თვალი სიამოვნებით დაინახავს ბევრს ნიშანს ადამიანურ ცხოვრებისას. გზა და უბნები სუფთადა აქვთ შენახული, შესდგომიან სკოლისა და პურის მაღაზიის გაკეთებას, ერთმანეთ შორის სცხოვრობენ უფრო მომეტებულის თანხმობითა და სიყვარულით, ქვეყნის მჭამელი წურბელა აქ თავისუფლად ვერა პარპაშობს და თუ ითვისებს რასმეს, სჩადის ამას უფრო ძველებურის გაიძვერაობით, ვიდრე ამ დროინდელის ურცხვობითა და მოურიდებლობით... ხოლო მეორეს მამა-პაპურადვე მიუყურისძირებია: თავით დაუდვია უმეცრება, ქვეშ ათას ნაირი ჭუჭყი და უსუფთაობა დაუგია, წამოწოლილა ზედა და სძინავს დაუდევრობის ძილით. საზოგადოდ, მთლად ჩვენი ერი და მომეტებულად უფრო მდაბიო ხალხი მუდამ ასეთი ყოფილა: უაზრო, გზა-დაბნეულ ცხვრის ფარას წააგავს, როდესაც გვერდში ღირსეული კაცი არ უდგია, მაგრამ თუ გონიერი და გულ-შემატკივარი წინამძღვარი გამოუჩნდა, მაშინ ის შეგნებულ ადამიანების საზოგადოებად გარდაიქცევა ხოლმე, ქვითკირის ბურჯსავით მტკიცე და განუდრეკელ რაზმად. ამ დროს ხალხის მხნეობა და გაბედულობამ უმაღლესს ხარისხამდე ადის და ამის გამო არ არსებობს მთლად ქვეყნიერობაზედ იმისთანა რამ ძლიერება, რისხვა-წყრომა, რომელსაც ამ გვარ შემთხვევაში მან ხელის შებრუნება ვერ გაუბედოს. ამიტომ შეიძლება ბედნიერად ჩაითვალოს ის სოფელი, რომელშიაც თითო-ოროლა შეგნებული, განათლებული ადამიანი სცხოვრობს. ამათის მეცადინეობით რამდენიმე აქაური სოფელი მომავალ ბრძოლის ველს დამშვიდებულის გულით შესცქერის. გარდა სისუფთავისა, ამისთანა სოფლებში სხვა საჭირო საგნებისთვისაც მიუქცევიათ ყურადღება. მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად დიდ-ძალი მკვახე და მავნებელი ხილია სოფლად. როგორც ბავშვები, ისე დიდებიც დაჩვეულნი არიან იმის ჭამას, ამიტომაც ყოველ ამ დროს ციებ-ცხელება, მუცლის ტკივილი, კუჭის მოშლა გავრცელებულია ხოლმე ხალხში... ამ სატკივრებმა რომ წელსაც კვლავინდებურად არ წამოჰყოს თავი და არ მოუმზადოს ნიადაგი საშინელს სენს, ამორჩეულმა კაცებმა გადასწყვიტეს: ძირიანად დაგლეჯა კიტრისა, დაბერტყვა და გადაყრა ტყემლისა, თუთისა, ჭერამისა... სასტიკად აკრძალეს ჭამა ვაშლისა, მსხლისა, შემწვარის სიმინდისა, ნედლის კაკლისა და სხვათა. დანიშნულია დღე და ღამ სამ-სამი—ოთხ-ოთხი დარაჯი, რომელნიც სხედან სოფლის განაპირა გზაზედ და თვალ-ყურს ადევნებენ მიმავალ-მომავალ ხალხს, რომ ხოლერიან ადგილებიდგან არავინ შემოეპაროთ*). გლეხებმა შეუწუხებლად გამოიღეს ფული და რამდენისამე მანათის დასალევ-სასხურებელი წამლები განსაკუთრებით გლეხებისათვის იყიდეს. იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა, არჩეული გვაქვს სოფლის განაპირას კარგად დახურული, სრულიად მშრალი საბძელი, რომელშიაც ვფიქრობთ ავადმყოფების დაწვენას. ამ წინაზედ აქა ბძანდებოდა ბ-ნი ცისკარაშვილი, ჩვენი პატივცემული ექიმი, და აღგვითქვა: პირველსავე დაძახებაზედ აქ გავჩნდებიო... ამ გვარადვე ამხნევებს ხალხს დაუღალავი და პატიოსანი მზრუნველი სოფლისა, აქაური პოლიციის ბოქაული ბ-ნი გუგუშვილი... ამ გარემოებათა წყალობით ხალხი ყოჩაღად არის და ვნახოთ, რითი გათავდება ჩვენი აწინდელი ტყვეობა!..

პროვინციელი

სოფ. არბო

*) რადგან ხოლერა ამ ჟამად ძალიან დაგვიახლოვდა: გაჩნდა ტირძნისში, მეღვრეკისში, ერგნეთში, ცხინვალში, ხეითში და ამბობენ ერედვსა და კულბითშიაცაო (ამ ორის სოფლის შესახებ დღეს გავარდა ხმა), და ამ გვარად ყოველის მხრიდგან სულ შვიდი-რვა ვერსის სიშორეზედ შემოგვერტყა, ამიტომ ხალხის კრებამ დაადგინა: როგორც სოფელში შემოსვლა, ისე აქედგან გასვლა სრულიად აიკრძალოს...

## დეპეშა

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ხოლერის დროს გაწვეულ იქმნას საჭირო რიცხვი სათადარიგო სამხედრო ექიმებისა და ფერშლებისა ექვს-ექვსის კვირით.

გუშინ აბასთუმანში დაარსდა რუსეთის პირველი სამთო-ვარსკვლავთმრიცხველო ობერვატორია, დიდის მთავარის გიორგი ალექსანდრეს ძის შეწირულებით აგებული.

დღეს პეტერბურგში მოდის განთქმული პატალოგი ვირხოვი, რომლის პატივსაცემლადაც აქაური ექიმები ხვალ სადილსა ჰმართავენ.

პეტერგურგში 10 და 11 აგვისტოს ავად გახდა 95, გარდაიცვალა 33, მორჩა 37.

**ჰამბურგი.** აქ ხოლერით ავად გახდომილთა შორის გამხდართა ზოგიერთს აზიის ხოლერა აღმოაჩნდა.

13 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია ბრძანება, რომ ძველი 25 მანათიანი უნდა გადიცვალოს ახალზედ; ჯერ არ არის დადებული ვადა, თუ რამდენ ხანს შეიძლება ეს გადაცვლა.

გამოცხადებულია ეს ბრძანება, რომ დაიბეჭდება 25 მილიონი ქაღალდის ფული.

რკინის გზის კონგრესის წევრების პატივის საცემლად გუშინ გაიმართა სადილი პავლოვსკში; გუშინვე უცხოელნი დეპუტატნი გაემგზავრნენ პეტერგოფში ოფიციალურ დარბაზობაზე.

რკინის გზის სადგურზედ დიდის ამბით დახვდნენ აქაური ექიმები პროფესსორს ვირხოვს.

რადგან სწავლის დაწყება წელს გვიან დაიწყება, სახელმწიფო რკინის გზის გამგეობამ ნება დართო, რომ შეგირდებს და მასწავლებლებს შეუძლიანთ მეოთხე თთვესაც გამოიყენონ დაკლებული ფასიანის ბილეთებით.

11 და 12 აგვისტოს პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 111, გარდაიცვალა 32, მორჩა 43.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკის დასათვალიერებლად მოვიდნენ რამდენიმე წევრი მოსკოვში შეკრეფილი საერთა შორისო სამეცნიერო კონგრესებისა.

**ბერლინი.** ხოლერა შეუტანიათ ჰამბურგიდგან მახლობელ ქალაქ ალტონში, სადაც გუშინ ავად გახდა 80, გარდაიცვალა 5; თვით ჰამბურგში გარდაიცვალა გუშინდლამდე 75.

**ბრიუსელი.** ანტვერპენში ხოლერა ვრცელდება, გუშინ-წინ გარდაიცვალა 5.

**ათინა.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ საბერძნეთში დაიბა-

რეს ელჩები: პეტერბურგისა, ბერლინისა, პარიჟისა, ვენისა და რომისა.

ცეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ტირაჟი.

ორას ორმოც-და-ათ მანათიანი

| № ბილ. | №№ სერიის | № ბილ. | №№ სერიის | №№ ბილ. | №№ სერიის |
|---|---|---|---|---|---|
| 40 | 313 | 48 | 10944 | 57 | 2097 |
| 40 | 1148 | 48 | 11055 | 57 | 2853 |
| 40 | 1616 | 49 | 1216 | 57 | 3275 |
| 40 | 2998 | 49 | 1413 | 57 | 3642 |
| 40 | 3271 | 49 | 2038 | 57 | 5405 |
| 40 | 5681 | 49 | 3375 | 57 | 5910 |
| 40 | 5857 | 49 | 3620 | 57 | 6035 |
| 40 | 8545 | 49 | 4035 | 57 | 7125 |
| 40 | 8747 | 49 | 4314 | 57 | 7186 |
| 40 | 10618 | 49 | 7446 | 57 | 9260 |
| 40 | 11272 | 49 | 8891 | 57 | 9560 |
| 40 | 11721 | 49 | 9408 | 57 | 9933 |
| 41 | 2493 | 49 | 9816 | 58 | 1111 |
| 41 | 4080 | 49 | 10004 | 58 | 1368 |
| 41 | 4446 | 49 | 10015 | 58 | 3029 |
| 41 | 5252 | 49 | 11358 | 58 | 3677 |
| 41 | 5559 | 49 | 11553 | 58 | 3592 |
| 41 | 7199 | 50 | 982 | 58 | 4096 |
| 41 | 7832 | 50 | 2044 | 58 | 4940 |
| 41 | 8268 | 50 | 6095 | 58 | 8686 |
| 41 | 10497 | 50 | 7313 | 58 | 9284 |
| 42 | 1118 | 50 | 7515 | 58 | 10353 |
| 42 | 4090 | 50 | 7774 | 58 | 10937 |
| 42 | 5063 | 50 | 11644 | 58 | 11063 |
| 42 | 5323 | 51 | 335 | 59 | 341 |
| 42 | 6635 | 51 | 598 | 59 | 1089 |
| 42 | 7127 | 51 | 613 | 59 | 1681 |
| 42 | 8601 | 51 | 3799 | 59 | 2408 |
| 42 | 11036 | 51 | 4427 | 59 | 3492 |
| 42 | 11303 | 51 | 4932 | 59 | 3549 |
| 43 | 875 | 51 | 6462 | 59 | 2443 |
| 43 | 5598 | 51 | 7205 | 59 | 7863 |
| 43 | 7374 | 51 | 7642 | 59 | 8640 |
| 43 | 8050 | 51 | 7646 | 59 | 9306 |
| 43 | 8071 | 51 | 8027 | 59 | 10255 |
| 43 | 8464 | 51 | 10040 | 59 | 10537 |
| 43 | 9585 | 52 | 347 | 59 | 11522 |
| 43 | 9661 | 52 | 1789 | 59 | 11640 |
| 43 | 11965 | 52 | 2936 | 60 | 225 |
| 44 | 303 | 52 | 3318 | 60 | 2557 |
| 44 | 503 | 52 | 3504 | 60 | 3950 |
| 44 | 3272 | 52 | 4180 | 60 | 4973 |
| 44 | 8414 | 52 | 6229 | 60 | 6049 |
| 44 | 9548 | 52 | 6303 | 60 | 7114 |
| 44 | 10528 | 52 | 10597 | 60 | 8586 |
| 45 | 5029 | 53 | 534 | 60 | 10708 |
| 45 | 5110 | 53 | 617 | 60 | 10983 |
| 45 | 6996 | 53 | 1881 | 61 | 3906 |
| 45 | 9543 | 53 | 4127 | 61 | 4815 |
| 45 | 10052 | 53 | 4362 | 61 | 5100 |
| 46 | 267 | 53 | 4696 | 61 | 5257 |
| 46 | 418 | 53 | 4912 | 61 | 6269 |
| 46 | 1121 | 53 | 6461 | 61 | 6664 |
| 46 | 1244 | 53 | 8545 | 61 | 7345 |
| 46 | 3163 | 54 | 447 | 61 | 7584 |
| 46 | 6557 | 54 | 1115 | 61 | 9723 |
| 46 | 7240 | 54 | 2931 | 61 | 9906 |
| 46 | 8040 | 54 | 4327 | 61 | 10157 |
| 46 | 9401 | 54 | 5144 | 61 | 11603 |
| 46 | 10267 | 54 | 6334 | 62 | 2020 |
| 46 | 11247 | 54 | 7523 | 62 | 8599 |
| 47 | 2208 | 54 | 7702 | 62 | 10504 |
| 47 | 5528 | 54 | 8119 | 62 | 10708 |
| 47 | 6736 | 54 | 8535 | 62 | 11357 |
| 47 | 7283 | 54 | 8561 | 62 | 11871 |
| 47 | 7669 | 55 | 164 | 62 | 11971 |
| 47 | 9471 | 55 | 1217 | 63 | 66 |
| 47 | 9607 | 55 | 2338 | 63 | 1937 |
| 47 | 11514 | 55 | 2437 | 63 | 6233 |
| 48 | 363 | 55 | 2715 | 63 | 6850 |
| 48 | 1199 | 55 | 3739 | 63 | 9145 |
| 48 | 2390 | 55 | 5994 | 63 | 9307 |
| 48 | 3991 | 55 | 8823 | 63 | 9783 |
| 48 | 5910 | 55 | 10459 | 63 | 11093 |
| 48 | 7492 | 55 | 11285 | 63 | 11401 |
| 48 | 7964 | 56 | 240 | 63 | 11580 |
| 48 | 8410 | 56 | 6035 | 64 | 2007 |
| 48 | 9955 | 56 | 7051 | 64 | 3740 |
| 48 | 10744 | 56 | 11869 | 64 | 4400 |
| 64 | 5015 | 74 | 8263 | 84 | 1362 |
| 64 | 9012 | 74 | 8721 | 84 | 5254 |
| 64 | 9924 | 74 | 8850 | 84 | 6921 |
| 64 | 10679 | 74 | 8833 | 84 | 7127 |
| 64 | 11532 | 74 | 9538 | 84 | 8527 |
| 64 | 11553 | 74 | 10358 | 84 | 9435 |
| 64 | 11901 | 74 | 10537 | 85 | 145 |
| 65 | 52 | 74 | 10852 | 85 | 172 |
| 65 | 479 | 75 | 1243 | 85 | 5791 |
| 65 | 4340 | 75 | 1815 | 85 | 6651 |
| 65 | 8068 | 75 | 8731 | 85 | 7287 |
| 65 | 9104 | 76 | 1469 | 86 | 2165 |
| 66 | 338 | 76 | 1964 | 86 | 3274 |
| 66 | 1221 | 76 | 3383 | 86 | 3460 |
| 66 | 8614 | 76 | 3440 | 86 | 3657 |
| 66 | 10152 | 76 | 5859 | 86 | 3805 |
| 66 | 10211 | 76 | 6265 | 86 | 4116 |
| 67 | 691 | 76 | 6410 | 86 | 5297 |
| 67 | 1170 | 76 | 5508 | 86 | 7000 |
| 67 | 1526 | 76 | 7444 | 86 | 8410 |
| 67 | 1831 | 76 | 9653 | 86 | 8963 |
| 67 | 1958 | 76 | 9906 | 86 | 9206 |
| 67 | 5399 | 76 | 10420 | 86 | 10238 |
| 67 | 5994 | 76 | 10636 | 86 | 11461 |
| 67 | 6241 | 77 | 908 | 87 | 29 |
| 67 | 6696 | 77 | 1976 | 87 | 967 |
| 67 | 6824 | 77 | 2876 | 87 | 3698 |
| 67 | 7086 | 77 | 4567 | 87 | 4066 |
| 67 | 11776 | 77 | 6219 | 87 | 5620 |
| 67 | 11933 | 77 | 7523 | 87 | 6194 |
| 68 | 1406 | 77 | 8803 | 87 | 8373 |
| 68 | 1740 | 77 | 9019 | 87 | 9369 |
| 68 | 2396 | 77 | 9880 | 87 | 9604 |
| 68 | 3332 | 77 | 10530 | 87 | 10685 |
| 68 | 4129 | 78 | 156 | 87 | 11733 |
| 68 | 6657 | 78 | 1918 | 88 | 2804 |
| 68 | 7798 | 78 | 2033 | 88 | 3634 |
| 68 | 8169 | 78 | 3123 | 88 | 6184 |
| 68 | 8915 | 78 | 4466 | 88 | 8045 |
| 68 | 9672 | 78 | 5203 | 88 | 11873 |
| 68 | 10174 | 78 | 6734 | 89 | 527 |
| 69 | 1080 | 78 | 6753 | 89 | 4658 |
| 69 | 6423 | 78 | 7046 | 89 | 4910 |
| 69 | 6438 | 78 | 9052 | 89 | 7646 |
| 69 | 6873 | 78 | 9146 | 89 | 7669 |
| 69 | 7127 | 79 | 1648 | 90 | 612 |
| 69 | 7414 | 79 | 2514 | 90 | 1508 |
| 69 | 8433 | 79 | 4024 | 90 | 1881 |
| 69 | 9732 | 79 | 4194 | 90 | 2481 |
| 69 | 10521 | 79 | 4985 | 90 | 5667 |
| 70 | 2770 | 79 | 6446 | 90 | 10144 |
| 70 | 4848 | 79 | 9826 | 90 | 10477 |
| 70 | 5480 | 79 | 11235 | 91 | 108 |
| 70 | 5103 | 80 | 128 | 91 | 947 |
| 70 | 11425 | 80 | 1765 | 91 | 2281 |
| 71 | 1663 | 80 | 4338 | 91 | 5763 |
| 71 | 2563 | 80 | 5569 | 91 | 4907 |
| 71 | 2685 | 80 | 7246 | 91 | 5619 |
| 71 | 3039 | 81 | 71 | 91 | 5932 |
| 71 | 4006 | 81 | 411 | 91 | 6795 |
| 71 | 4298 | 81 | 2755 | 91 | 7042 |
| 71 | 5070 | 81 | 7781 | 91 | 10282 |
| 71 | 8283 | 81 | 7991 | 92 | 9 |
| 71 | 9311 | 81 | 10259 | 92 | 3132 |
| 71 | 11223 | 81 | 10927 | 92 | 3729 |
| 71 | 11656 | 81 | 11160 | 92 | 5824 |
| 72 | 1889 | 82 | 814 | 92 | 5916 |
| 72 | 2382 | 82 | 1668 | 92 | 7282 |
| 72 | 2904 | 82 | 1980 | 92 | 7323 |
| 72 | 3544 | 82 | 4120 | 92 | 7633 |
| 72 | 5151 | 82 | 6152 | 92 | 8522 |
| 72 | 7993 | 82 | 6154 | 93 | 212 |
| 72 | 9333 | 82 | 6868 | 93 | 1707 |
| 72 | 9856 | 82 | 7077 | 93 | 2005 |
| 72 | 10841 | 82 | 7643 | 93 | 3152 |
| 73 | 149 | 82 | 7811 | 93 | 4313 |
| 73 | 2353 | 82 | 8048 | 93 | 5104 |
| 73 | 3224 | 82 | 9548 | 93 | 5501 |
| 73 | 5671 | 82 | 10957 | 93 | 6142 |
| 73 | 5981 | 83 | 3127 | 93 | 6564 |
| 73 | 6764 | 83 | 3945 | 93 | 6579 |
| 73 | 11274 | 83 | 4423 | 93 | 10779 |
| 74 | 1427 | 83 | 4531 | 93 | 11780 |
| 74 | 1455 | 83 | 4643 | 94 | 1702 |
| 74 | 2509 | 83 | 4733 | 94 | 1959 |
| 74 | 2617 | 83 | 5134 | 94 | 4988 |
| 74 | 3495 | 83 | 5732 | 94 | 5092 |
| 74 | 4261 | 83 | 6661 | 94 | 6360 |
| 74 | 6469 | 83 | 8031 | 94 | 7119 |
| 74 | 6592 | 83 | 10022 | 94 | 8776 |
| 74 | 6933 | 83 | 11198 | 94 | 10091 |
| 74 | 7069 | 83 | 11319 | 94 | 10236 |
| 74 | 8224 | 84 | 1178 | 94 | 11624 |
| 95 | 2488 | 96 | 10189 | 98 | 1559 |
| 95 | 4827 | 96 | 11252 | 98 | 2091 |
| 95 | 5986 | 96 | 11552 | 98 | 2396 |
| 95 | 6330 | 97 | 916 | 98 | 3409 |
| 95 | 7200 | 97 | 1863 | 98 | 7810 |
| 95 | 8197 | 97 | 3343 | 98 | 8300 |
| 95 | 10478 | 97 | 3471 | 98 | 9784 |
| 95 | 11344 | 97 | 4908 | 98 | 5711 |
| 95 | 11427 | 97 | 5943 | 98 | 7211 |
| 96 | 3441 | 97 | 6524 | 98 | 8045 |
| 96 | 4171 | 97 | 7177 | 98 | 8508 |
| 96 | 5112 | 97 | 8475 | 98 | 8823 |
| 96 | 6469 | 97 | 9662 | 98 | 10495 |
| 96 | 8120 | 97 | 10957 | 98 | 11265 |
| 96 | 10012 | 98 | 595 | | |

პეტერბურგის ბირჟა, 11 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,77 | 7,80 | —,, |
| ტფამოჟნის კუპონები . | 155 1/4 | 156 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 235 1/4 |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 223 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 1/4 | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | —,, | —,, | 99 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 1/4 | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | —,, | —,, | 99 3/4 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,62 | —,, | —,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—92)

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალქსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—80—4)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

## სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | | 5 „ . . . . | 5 „ 50,, |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | | 4 „ . . . . | 4 „ 75,, |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | | 3 „ . . . . | 3 „ 50,, |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | | 2 „ . . . . | 2 „ 75,, |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | | 1 „ . . . . | 1 „ 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე—და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. №.